

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო პედაგოგიურ
ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ ყოველკვარტალური დამატება

ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში

№3. 1982

#80#

კონსტანტინე გამსახურდიას ქართული

ბესარიონ ჯორბენაძე

1

კონსტანტინე გამსახურდია იმ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც იმთავითვე მკაცრად გააზრებული და დადგენილი ენობრივი პოზიცია აქვთ, თანამიმდევრულად რომ ამკვიდრებენ თავიანთი შემოქმედებით. ამ მხრივ დამახასიათებელია თვით კ. გამსახურდიას სიტყვები: „ენა ერისა და მისი კულტურის წმიდათა წმიდაა... მე პირადად, როგორც მწერალი, მუდამ მოწადინებული ვარ გავდევნო ქართული ენიდან ზედმეტი ბალასტი, რომელიც საუკუნეების გავლენით ჩაღეჭილა ქართულ ენაში... ენის კულტურის პროგრესი და მისივე პატრიოტიზმი მოითხოვს: ყოველ შემოქმედს ენისას სასიცოცხლო მიზნად ჰქონდეს დასახული, თუნდაც ერთი მტკაველით წინ წაუსწროს წინამორბედებს“ (VI, 585; VIII; 214*).

ოციან წლებში კონსტანტინე გამსახურდიამ ქართული ენის დახვეწის მიზნით წამოაყენა დებულება ძველ ქართულში დაცული ენობრივი რეზერვების ასამოქმედებლად „წინ — მერჩულისაკენ!“ ძველი ქართული დიახაც ნოყიერ ნიადაგს იძლევა ქართული ენის ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად, ზოგ შემთხვევაში — სინტაქსური კონსტრუქციების გამრავალფეროვნების თვალსაზრისით, მაგრამ იგი, როგორც ქართული ენის განვითარების უკვე განვლილი ეტაპი, შეუძლებელია

საფუძვლად დასდებოდა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის პრინციპების ჩამოყალიბებას. მოგვიანებით კ. გამსახურდიამ სხვა აზრი განავითარა: „XX საუკუნის მწერლობამ უნდა მოგვცეს ილიას ქართლურის, აკაკის იმერულის, ვაჟას ფშაურის, მეგრულისა და გურული ენობრივი ელემენტების სრული სინთეზი. აი, ეს იქნება იდეალური ლიტერატურული ქართული“ (VIII, 207).

კ. გამსახურდიას ენობრივი შემოქმედება დაბეჭდვით იყო მიმართული ორი მიზნისკენ: დაეხვეწა ქართული ენის სინტაქსური წყობა და ახალი სიტყვებით გაემდიდრებინა ქართული ენის ლექსიკური მარაგი.

*საილუსტრაციო მასალა მოტანილია შემდეგი გამოცემიდან: კონსტანტინე გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, რვატომეული, თბილისი, 1958-1967. რომაული ციფრები აღნიშნავს ტომს, არაბული — გვერდს.

#81#

სინტაქსურად კ. გამსახურდიამ მართლაც გამოიმუშავა სპეციფიკური ხერხები (სიტყვათშეხამებისა თუ სიტყვათა რიგის თვალსაზრისით) რომელთაგან ზოგმა საყოველთაო გავრცელება პოვა. მაგრამ მთლიანობაში იგი მაინც აღიქმება როგორც უთუოდ საინტერესო, ოღონდ ერთი მწერლის შემოქმედებით შემოფარგლული ენობრივი სამყარო.

რაც შეეხება სიტყვათშემოქმედებას (როგორც ახალი სიტყვების წარმოქმნას, ასევე მათ შემოტანას ქართული ენის დიალექტებიდან თუ სხვა ენებიდან), ეს იყო გარდაუვალი პროცესი იმისათვის, რომ ქართული ენა გამხდარიყო ადეკვატური თანამედროვე აზროვნებისა, არ ჩამორჩენოდა მსოფლმხედველობით პროგრესს.

ამის გამო სავსებით მართებულად შენიშნავდა კ. გამსახურდია: „ჩვენი საუკუნის ცხოვრების გართულებამ, თავათ ქართველი კაცის მოქმედების ასპარეზის გაფართოვებამ, მე მაიძულა იგი გამომეხატა არა მხოლოდ ლიხს გაღმა და ლიხს

გამოდმა, არამედ მსოფლიო ცენტრებშიც; ქართველი კაცი არა მარტო ცხენზე, ურმზე ან ტივზე მჯდარი, არამედ საერთაშორისო ვაგონში, ჰაეროპლანზე მჯდომი, ზღვაზე და ხმელზე მოხეტიალე. აქ ქმნილებათა მოცულობაც მისაღებია მხედველობაში: თუ ქართული ენის ლექსიკურ ფარგალს არ გავაფართოვებდი, როგორც შემეძლო მე ეს ყოველივე?“ (VIII, 223).

2

კ. გამსახურდია სავსებით მიზანდასახულად ქმნიდა თავისი თხზულებების სტილს, რომლის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი აშკარად გამოხატული პოეტიზაციის ტენდენციაა. ეს ტენდენცია ვლინდება არა მხოლოდ უხვად მოხმობილი ლირიკული წიაღსვლებით, ხაზგასმული მეტაფორული მეტყველებითა თუ თხრობის რიტმით, არამედ თვით სიტყვების შერჩევითაც კი. კ. გამსახურდია აშკარა უპირატესობას ანიჭებდა ისეთ სიტყვებს, რომლებიც თავისი პოეტური ჟღერადობით, სინედლითა და იდუმალი კოლორიტული სურნელით იყო გამორჩეული. „ყოველ სიტყვას ჩემთვის ოქროს წონა აქვს და მე მათ ისე ვუფრთხილდები, როგორც გონიერი მთავარსარდალი თავის ჯარისკაცებს, — აღნიშნავდა მწერალი, — თუ ჩვენ მართლაც გონიერი მთავარსარდლები ვიქნებით, სიტყვები ჩვენი მარჯვე სპანი გახდებიან“ (VIII, 219).

იშვიათია მწერალი, რომელიც კ. გამსახურდიასეული დაჟინებით ეძიებს ენის ლექსიკური ფონდის შევსებას, გამდიდრებასა და დახვეწას. ამ თვალსაზრისით სამი წყაროა საცნაური კ. გამსახურდიას სიტყვათშემოქმედებისათვის:

ა) ძველი ქართულის ლექსიკა: „დაუშრეტელი რეზერვუარი ჩენი ენისა ეს გახლავთ ძველქართული...“ (VIII, 217); პირველწყაროები: სიგელები, ჰაგიოგრაფიული ძეგლები, კარაბადინები, სამთვარიოები, ქართული თარგმანები ბიბლიისა... (VIII, 219); ისტორიულ „რომანებში მე დამჭირდა ისეთი მოუცილებლად საჭირო სიტყვების გაცოცხლება,

როგორიცაა: მალემსრბოლი, პიტაკი, მსტოვარი... თანგირი მილის წყლისა, ე.ი. საშუალ საუკუნის წყალსადენისა, ხარისხი კიბისა, ქონგური კოშკისა, თორი და სხვა... შეუძლებლად ვცანი საქართველოს სამეფო კარის საკმაოდ რთული იერარქიის: ვაზირთა უპირველესის, ქონდაქართუხუცესის, მეჭურჭლეთუხუცესის, ეზოსმოდვრის, მეჯამეთუხუცესის, ციცხვთუხუცესის, ჩუხჩის თანადროული ტერმინებით შეცვლა“ (VII, 717-718).

ბ) ქართული დიალექტური ლექსიკა: „...უხვად ვასხურე ჩემს ლექსიკას ხევსურულიდან, იმერულიდან, ქართლ-კახურიდან და მეგრულ-გურულ ენაკავებიდან ნასესხები სიტყვები... მე საჭიროდ დავინახე ქართული ტომების (განსხვავებული) ლექსიკის შეკრების ლოზუნგი გადამესროლა... ქართული სიტყვიერი ინვენტარის გამდიდრება ახალ საუკუნეში უნდა მომხდარიყო ცალკერძ ძველქართულის მარაგიდან, ცალკერძ ცოცხალი დიალექტებისა და ენაკავების წიალიდან, რათა ქართული ენა მარტოოდენ მშრალი, მწიგნობრული ენა არ გამხდარიყო“ (V, 955-956).

გ) ინტერნაციონალური ლექსიკა: „ქართული ენის მეურნეობაში მე მუდამ ვხედავდი მის გასოფლურების საშიშროებას, ამიტომაც თამამად შემოვუშვი თანადროულ ქართულში ბერძნულ-ლათინური ძირის სიტყვები... დღეს ყოველი კულტურული ადამიანის ემოციური და ინტელექტუალური მეტყველება ისე გართულებულია, რომ ვერც ერთი ეროვნების წარმომადგენელი ვერ იაზროვნებს მარტოოდენ თავის მშობლიური იდიომიდან აღებული სიტყვებით, მით უმეტეს ქართველი მწერალი... ბარბარიზმების სესხი უეჭველად კულტურული ენებისგან უნდა იქნას აღებული“ (VIII, 215; VI, 627).

ძველქართული ლექსიკის გაცოცხლება მარტოოდენ ისტორიული პერსპექტივის წარმოსახვასთან არ არის დაკავშირებული. რა თქმა უნდა, ყველაზე უხვად ძველი ქართულიდან გადმოღებული სიტყვები სწორედ ისტორიულ ქარგაზე

დაწერილ ნაწარმოებებში წარმოჩნდება და ეს ბუნებრივია. ასასახავი ეპოქის რეალიზების წარმოსახვა შესაბამისი სახელების გამოყენების აუცილებლობასაც გულისხმობს. იმავდროულად კ. გამსახურდიას უხვად შემოაქვს არქაული ლექსიკა არა მხოლოდ არაისტორიულ თემებზე შექმნილ თხზულებებში, არამედ თვით კრიტიკულ ნარკვევებშიც კი.

ქართული სიტყვის განედლებისა და გახალისების ერთ-ერთ ძირითად საშუალებად კ. გამსახურდიას დიალექტური ლექსიკა მიაჩნდა. მან შმეოიტანა და დაამკვიდრა სამწერლობო ენაში **შინაბერა, ირაო, ციხიონი, საჭრეთელი** და ზოგი სხვა, ადრე მხოლოდ ამა თუ იმ დიალექტში გამოყენებული სიტყვა. კ. გამსახურდიას ზოგჯერ სვანურისა და მეგრულის მონაცემებსაც მიმართავდა — უპირატესად სათანადო კოლორიტის შექმნის მიზნით. ამ რიგისაა მეგრული **ანანგირი, თუთაში, მარჩხა, მეჯინგორე, სქანსანთელი...** სვანური **აადუ, კვიცრა, ფოთრი, ჭვიშტარი, ჯაშრალი** და სხვა. თუმცა კ. გამსახურდია შესაძლებლად

#83#

თვლიდა სვანურ-მეგრული წარმოშობის სიტყვების ქართულ სალიტერატურო ენაში დამკვიდრებასაც: „უნდა შემოვუშვათ ქართულ ენაში როგორც მეგრულ-სვანური დიალექტის სიტყვები, ისე ფშავ-ხევსურული კილოდან“ (VI, 628).

სამი მიზანი აქვს სიტყვათშემოქმედებას კ. გამსახურდიასთვის:

შესაბამისი ეპოქისა თუ ეთნოგრაფიული კუთხის მხატვრული კოლორიტის შექმნა: „მე არ მიმაჩნია მისაბამ მაგალითად ცნობილი რომანისტის ფოიხტვანგერის პრაქტიკა, როცა იგი იუდეველთა ომების აღწერისას თანადროულ ტერმინებს „გენერალს“ და „ოფიცერს“ ხმარობს. ეს არის უთუოდ გაიოლებული გზით სიარული“ (III, 717).

სინონიმური რიგის გამრავალფეროვნება: „დიდი მასშტაბის პროზაში პარალელური შესატყვისებიც სანუკველია, რადგან ერთ პერიოდში ერთი და იმავე

სიტყვის ორ-სამგზის ხმარება ავტორის უმწეობას მოასწავებს ხოლმე. დიდ რომანს გაცილებით უფრო მდიდარი და მრავალფეროვანი ლექსიკონი ესაჭიროება, ვიდრე ლირიულ ლექსს“ (III, 718).

მრავალგზის ხმარებული, გაცვეთილი სიტყვებისა და გამოთქმების შეცვლა ახლით — სიტყვის განედლება, გაახლება: „არიან სიტყვები, რომელნიც გატეხილ ზარასავით უკვე აღარ წკრიალებენ და თქვენ რუსთველისეული ენერგიითაც რომ მოუქნიოთ, ვერ გამოაღებინებთ მას იდუმალ წკრიალს, რომელიც ყოველი კარგი სიტყვიდან მოგვესმის ჩვენ... არიან სიტყვები, რომელნიც მაშინაც, როცა მათ ხმარობს ხალხი, მწერლისთვის მკვდარია. არიან სიტყვები, რომელნიც სიძველეთა სავანეში უნდა იქნან შენახული როგორც ძველი სისტემის ზარბაზნები, რომელთაც თანამედროვე ომში კარგი ვაჟკაცი ვერ იხმარს. არიან სიტყვები, რომელნიც სავსებით უნდა იქნან გაძევებულნი“ (VI, 628-629).

3

ერთგან კ. გამსახურდია დაწვრილებით მსჯელობს, თუ კონკრეტულად რომელი სიტყვები შემოიტანა მან სამწერლობო ენაში და რატომ. ამ რიგისაა „ქვემეხი“, რომელიც მან იხმარა „დიონისოს ღიმილში“, ასევე „ხვანჯი“ ნაცვლად სიტყვისა „ინტრიგა“, ხევსურულში, გურულსა და მეგრულში დამოწმებული „ირაო“, გურული „ძგიდე“, „შეფაკლებული“, მისივე დამკვიდრებულია „გარღვეული“ — შესატყვისი „პარალიზებულისა“, „მეინახე“, ჭურჭლეულის ერთ-ერთი სახეობა, „პინაკი“, „ძუძუმტე“, „ტახტისმტე“, „გლუ“, „ჭვინტი“, რაჭული „შრამელი, ქართლური „შინაბერა“, „საჭრეთელი“, ასევე „ტვიფარი“ და სხვა.

ქართულ ენას უაღრესად განვითარებული ტექნიკური ტერმინები მოეპოვება იარაღისა, ციხეთა, ომისა, ნადირობისა, მევენახეობისა, მესაქონლეობისათვის... ზოგიერთი ყოველგვარ კრებულს საქონლისას ჯოგს უძახის. ეს არ არის სწორი. ცხენებისას — რემა ჰქვია, ძროხებისას — მროწლე, ღორებისას და ხბორებისას — ღორ-ხბო... მარტოოდენ

ღორებისას — კოლტი, მხეცებისას — ხრო, ფრინველებისას — გუნდი. ასეთივე მრავალგვარი შესატყვისები აქვს ბადეებს, სათხევლებს, მახეებს... ასეთვე ნიუანსები აქვს ქართულში მთიანობას, მდინარეების მოქცევას და სხვა. ქართული ენა ღარიბია მეზღვაურთა იარაღებისა და ნავ-ხომალდთა აღსაწერად, რადგან ზღვა არ ჰყვარებია რატომღაც ჩვენს ხალხს“ (VIII, 221-222).

ასე მარცვალ-მარცვალ კრეფდა, აგროვებდა, ხვეწდა და თავ-თავის ადგილს მიუჩენდა ხოლმე მწერალი საჭირო სიტყვებს. მნიშვნელობათა მრავალგვარი ნიუანსები, რომლებიც ერთი შეხედვით არცთუ ისე საშური ჩვეულებრივი მეტყველებისათვის, უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს მოვლენათა მხატვრული ასახვის დროს.

რა თქმა უნდა, არქაიზმიც, დიალექტიზმიცა და ინტერნაციონალიზმიც მართოდენ ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების საშუალებას არ წარმოადგენენ კ. გამსახურდიასთვის. სამივე ეს მონაცემი მხატვრული სახის, სხვადასხვა სოციალური ფენის, ისტორიული თუ ეთნიკური კოლორიტის შესაქმნელად უხვად მოხმარებული ინვენტარია.

მწერლის მიზანი გარკვეული სიტუაციის, შესაბამისი განწყობის შექმნაა. ამ მიზნის მისაღწევად იგი შესაძლოა ხელოვნურ არქაიზაციას ან ფსევდოდიალექტური ფორმების გამოყენებას მიმართავდეს, მაგრამ თუკი მიიღწევა შესაბამისი ემოცია, თუკი მკითხველი ამა თუ იმ ეპოქის, ამა თუ იმ კუთხის სულისკვეთებას ეზიარება, მაშინ ზუსტი ენათმეცნიერული საზომით თუნდაც უმართებულო ფორმების გამოყენება მწერალს ნაკლად არც უნდა ჩაეთვალოს.

ზოგჯერ აშკარა ლაფსუსიც კი ეპატიება მწერალს. ამ რიგისაა „შორენა“, რომელიც სინამდვილეში მანდილოსნის ძველად საკმაოდ გავრცელებული საკუთარი

სახელი „ბორენა“ უნდა იყოს. ნუსხახუცურში გარეგნული მსგავსების გამო აღრეულია ბ და შ ასოები (ზ. ჭუმბურიძე).

არქაიზაციის განხილვის დროს უნდა განირჩეს არქაული ლექსიკის შემოტანა, გაცოცხლება და არქაული გრამატიკული ფორმებისა თუ შესიტყვებების გამოყენება. უკანასკნელს კ. გამსახურდია მხოლოდ პერსონაჟის მეტყველებით დახასიათებისას მიმართავს. ჭარბადაა, მაგალითად, არქაული გრამატიკული სისტემის ელემენტები მელქისედეკ კათალიკოსის მეტყველებაში, მით უფრო, რომ იგი უხვად იყენებს ციტატებს თუ ცალკეულ გამოთქმებს საღვთო წიგნებიდან: „არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახვილისა აღება. ხამს სახარებითა და პატიოსანითა ჯვართა უჩვენოთ გზაი ჭეშმარიტ განდგომილთა, რამეთუ ძელიცხოველის ჯვარი პატიოსანი არს მიმყვანებული ცხოვრებას საუკუნოდ და ძალმან მისმან განანათლოს ბნელი იგი გულითა მათთა“ (II, 487). ანდა: „და წიად მოიკრიბა იაკობ ყოველივე, რაიცა იყო მისი

#85#

და დადგა იგი მარტოი მუნ და ერკინებოდა მას კაცი ვიდრე განთიადამდე...“ (II, 578).

უფრო ზუსტი იქნებოდა, გვეთქვა: კ. გამსახურდია ასეთ შემთხვევებშიც ძველქართული მეტყველების იმიტაციას ახდენს და არა ზედმიწევნით რეპროდუქციას. თვით მოტანილ მონაკვეთებში „გზაი“, „რაიცა“, „მარტოი“ ძველ ქართულში დამოწმებულ ფორმათა იმიტაციას წარმოადგენს, რადგან სამივე შემთხვევაში ი- ხმოვანის ნაცვლად ე უნდა იყოს. ამ რიგისაა „სპაი, „სანათლოს“, „სამეფოს“, „ეკლესია საქართველოსა“ (II, 597), „მზეი“, „დიდროაი“ და მრავალი სხვა. რიგ შემთხვევაში ფსევდოარქაიზაციასთან გვაქვს საქმე: „ნონაი“, „მახარაი“ საკუთარი სახელებია და ძველ ქართულში სახელობითისეული -ი მათ არ ესაჭიროებათ (თუმცა ძველი ქართულის მოგვიანო ძეგლებში აღრევის შემთხვევებიც გვაქვს, ოღონდ ყველა

შემთხვევაში დამოწმებული იქნება -მ. ასე აქვს კ. გამსახურდიას წარმოდგენილი „ზნაურაჲ“, II, 756).

ის, რაც კ. გამსახურდიას შემოქმედების ზოგ მკვლევარს არქაული გრამატიკული სისტემის კუთვნილი ჰგონია, სინამდვილეში თვით მწერლის მიერ შექმნილი ფორმაა და თუკი იგი არქაულობის შთაბეჭდილებას ტოვებს, მწერლის მიზანი მიღწეულად შეიძლება ჩაითვალოს. რა თქმა უნდა, ეს ეხება იმ ნაწარმოებებს, სადაც მწერალს ისტორიული კოლორიტის წარმოსახვა ჰქონდა მიზნად.

5

ამა თუ იმ პერსონაჟის დახასიათებისას კ. გამსახურდია ზოგჯერ მიმართავს დიალექტიზმებსაც. როგორც წესი, ეს პერსონაჟები მდაბიორთა წრეს მიეკუთვნებიან და თავინათი მეტყველებით საქართველოს შესაბამის ეთნიკურ კუთხეს წარმოსახავენ. აქვე უნდა ითქვას: დიალექტური მეტყველებაც კ. გამსახურდიასთან ხაზგასმულად სტილიზებულია; მხოლოდ ძუნწად მოხმობილი დიალექტიზმები წარმოაჩენენ ამ მეტყველების სპეციფიკურობას:

— „გამააჰენე, გამააჰენე ცხენი...

ყვიროდა დიაცი, ხელს უქნევდა თანაც...

— გაჰქუსლ ახლავე ცხენი, ოჩანის ციხეში ამბავი დააგდე, მეფის ჯარები მოდიან-თქო, მერე კვეტარისკენ მოუსვი, ერისთავს ამცნე, ოჩანის ციხეს მააშველოს ჯარი“ (II, 523).

მთელ ამ პასაჟში ორად ორი ფორმაა აშკარად დიალექტური: „გამააჰენე“ და „მააშველოს“. ყოფითი, დიალექტური კოლორიტი კი უთუოდ მიღწეულია. ამას გარკვეულად ხელს უწყობს სასაუბრო, ფამილური იერიც მეტყველებისა.

ანდა: „ალი ხომ არ შემოგყრია, ჭოვ!“ (II, 547). დიალექტიზმი მხოლოდ მიმართვაშია დამოწმებული.

ან: „შენ თვითონ იფიქრე, როგორ შემეძლო ტყვეს მეფის მიერ

#86#

წარმოგზავნილი შინ არ შემეშო“ (II, 633). „შემეშო“ ფორმა რომ არა, ეს ფრაზა შეეძლო წარმოეთქვა დახვეწილი სალიტერატურო ენით მეტყველ პიროვნებასაც. ერთადერთი ფორმა მთელ ფრაზას ანიჭებს სპეციფიკურ იერს. თანაც აშკარაა, რომ იგი მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრს შეიძლებოდა ეთქვა, ამ შემთხვევაში ვარდისახარს („დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“).

დიალექტიზმი პერსონაჟთა დაპირისპირების საშუალებაცაა:

„რამდენი შვილი გყავს, ქალო?

ეკითხება გიორგი დიაცს.

— მენა? მენა ორი.

— ტყუპები?

— ტყუპები.

მიუგო დარცხვენელმა დიაცმა...

— ეს მესამე ვისია, ქალო?

— ჩემი დაი სტუმრადაა ჩვენასა, იმისია ი პატარაი, ყივანა ხველა შეეყარა ბედშავს“ (II, 609).

ეს მონაკვეთი გიორგი მეფისა და გლეხის ქალის საუბრიდანაა. ამ შემთხვევაში პერსონაჟების ხასიათების გადმოცემა მხოლოდ მათი მეტყველებით ხდება, ეს მეტყველება წარმოაჩენს ორი სრულიად სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელს.

მაშინ კი, როცა გიორგი მეფე თავისი ვინაობის დაფარვას ცდილობს და ვარდისახარს მეფის მალემსრბოლად, გლახუნა ავშანისძედ, აცნობს თავს, ამ მიზნით დიალექტიზმს იშველიებს, თუმც თვით მეტყველების იერი ააშკარავებს ამ ცუდად მორგებულ ნიღაბს:

„შენ ვინ იქნები, ქალავ?“

- პირისფარეში ერისთავის ქალისა.
- თვითონ შორენა სადა ბრძანდება, პატრონი შენი?
- შორენა და მისი მოახლენი ზედაზენს წაიყვანა ჩვენმა მოძღვარმა“
- შენი სახელი მიბოძე, ქალავ.
- ვარდისახარი, ბატონო ჩემო“ (II, 616-617).

მხოლოდ „ქალავ“ ფორმით ცდილობს გიორგი მეფე თავის მდაბიორობაში დაარწმუნოს ფხოველი ქალი, თანაც სწორედ მთის კილოებისათვის ნიშანდობლივ მიმართვას ხმარობს, კნინობით-საალერსოს (შდრ. მისივე „ქალო“ წინა პასაჟიდან, სადაც იგი ქართლელ გლეხის ქალს მიმართავდა).

შედარებით ჭარბადაა მოხმობილი დიალექტიზმები მაშნ, როცა სპეციფიკური, დალოცვის, შელოცვისა ან წყევლის ფორმულები აქვს გამოყენებული მწერალს. აი, ერთ-ერთი ნიმუში ამისა „დიდოსტატის მარჯვენიდან“: „ააა, ღმერთმა ადიდოს შენი ძალი, წმინდაო გიორგივ, შენს გასამარჯვებლად მაიხმარი. ავშანისძეი გლახუნა, შენდ სამსახურ არ დაუკლავ, ააა, შენს წყალობას ნუ დააკლებ, ღმერთ შენს ბატონობას გაუმარჯვებს. ააა, დიდება ღმერთსა, დიდება მზესა, მზის მიმყოლ

#87#

ანგელოზთა, გეხვეწები ღალის მტრისად მწარის სიკვდილისად...“ (II, 679).

დიალექტიზმებთან ერთად კ. გამსახურდია იმავე მიზნით მეგრულ და სვანურ, ასევე აფხაზურ ფორმებსაც იყენებს; ინტელიგენტთა მეტყველებაში ხშირია რუსული, ფრანგული, ინგლისური, გერმანული სიტყვები და ფრაზები, აქა-იქ გვხვდება არაბული, სპარსული, თურქული გამოთქმებიც.

იშვიათად მიმართავს ჟარგონსაც. ეს იშვიათობა იმითაა გამოწვეული, რომ კ. გამსახურდიას ნაწარმოებებში იშვიათია იმ რიგის პერსონაჟები, რომელთათვის ნიშანდობლივი იქნებოდა ჟარგონით მეტყველება:

„მერმე ხალი რა უყავი, საქულ-ჯან?

— ამ დროში ჩვენისთანა ხალხი ნეპრიმეჩნი უნდა იყოს, — მითომაც მამიპარსნია, ახლა ჰამაც სუფთადა ვარ, ჰამაც უშიშრად“ (I, 434).

6

ინტელიგენციის გარეგნულ მოქცევაში, მეტყველებაში, როგორც წესი, მეტნაკლებად ნიველირებულია მკვეთრი ეთნიკური კონტურები. ენობრივად ეს ჭარბი ინტერნაციონალური ლექსიკის გამოყენებით ან ევროპული ენებიდან აღებული გამოთქმების, ფრაზების მეტყველებაში ჩართვით ვლინდება. ყოველ შემთხვევაში, ასეა წარმოდგენილი ეს კ. გამსახურდიას ნაწარმოებებში.

აი, სალონური საუბრის ერთი ნიმუში „დიონისოს ღიმილიდან“:

„ბურჟუაზია დაღუპავს ევროპის დიდ კულტურას... შეუძლებელია ძველ ფუნდამენტზე შეიმდგოს მან თავი უკანასკნელ ომის შემდეგ. რაც შეეხება იტალიას და ესპანეთს, მონ შერ ამი, თქვენ უკეთ იცით, ეს ორი მხარე აღმოსავლეთია, პირწმინდა აღმოსავლეთი, იქ მუდამ ტირანია ყოფილა და იქნება.

— მუსოლინი ვერ მისცემს ევროპას ახალ პოლიტიკურ რელიგიას, რადგან იტალია ყველაზე ჩამორჩენილი მხარეა ევროპაში. ნაპოლეონი? იგი იტალიაში პატარა კაპრალი დარჩებოდა. საფრანგეთის მაღალ პედესტალზე გამოჩნდა ბონაპარტე...

— საქმე ჩამორჩენაზედაც არ არის, — ჩაერია მენდე ჩვენს საუბარში, — განა უვიცმა, ბინძურმა ჩამორცენილმა ურიასტანმა არ მისცა ქვეყანას ახალი რელიგია? ბოლოს და ბოლოს სხივი ისევ აღმოსავლეთიდან უნდა მოვიდეს. მთელი მსოფლიო ისტორია დასავლეთის და აღმოსავლეთის ურთიერთშორის ბრძოლა იყო...

— სინთეტიური ხაზის მოძებნაა საჭირო სენსორულ აღმოსავლეთსა და მოტორულ დასავლეთს შორის, — შენიშნა დოქტორ რადმერმა...“ (V, 641-642).

საზოგადოების ეს ფენა ფართოდ არის წარმოდგენილი კ. გამსახურდიას ნაწარმოებებში. საერთოდ, იშვიათია ქართველი მწერალი, რომელსაც ინტელიგენციის მისწრაფებანი და სულისკვეთება ესოდენ

მრავალფეროვნად წარმოესახოს, მოეცეს ინტელიგენტთა მხატვრული სახეები იმ მასშტაბით, როგორც ეს კ. გამსახურდიამ გააკეთა. მართალია, ინტელიგენტთა ერთი ნაწილი დასაღუპავადაა განწირული რევოლუციური ქართველების გამო, მაგრამ ეგ უფრო ბედისწერის ულმობლობას მიეწერება, რადგან თვით მათ ბოლომდე შენარცუნებული აქვთ შინაგანი სიწრფელე და უსაზღვრო სიყვარული მშობლიური კულტურისა.

7

კ. გამსახურდიას მხატვრული მეტყველებისათვის ნიშანდობლივია ხაზგასმული სტილიზაცია.

სტილიზაციის ერთ-ერთ კომპონენტად მიიჩნევა სხვათა სიტყვის -ო ელემენტის ჭარბი გამოყენებაც. სხვათა სიტყვის -ო ელემენტის გამოყენება ხდება ირიბ ნათქვამში. პირდაპირი დიალოგების ნაცვლად თხრობაში ირიბი ნათქვამის ჩართვა საკმაოდ ხშირად გამოყენებული ხერხია მხატვრულ ლიტერატურაში. რაც შეეხება კ. გამსახურდიას მხატვრულ მეტყველებას, აქ თავისებურებას ქმნის არა საკუთრივ სხვათა სიტყვის -ო ელემენტის ხშირი ხმარება, არამედ ამ ელემენტიანი ფორმის ადგილი წინადადებაში. რომ ავიღოთ სრულიად ჩვეულებრივი კონსტრუქცია: „უშჯულონი სამალავშიც არ გვაყენებენო“ და გარდავემნათ იგი კ. გამსახურდიას მანერის შესაბამისად, მივიღებთ: „სამალავშიაც არ გვაყენებენო უშჯულონი“ (III, 17). ანდა: „იმ ხევის ყელთან დავუხვდეთ და არ აგვცდებაო არც ერთი“ (II, 472), შდრ.: არც ერთი არ აგვცდებაო.

სტილიზაციის ტენდენცია გაცილებით უფრო ფართო მასშტაბითვე იჩენს თავს კ. გამსახურდიას შემოქმედებაში.

მხატვრულ ლიტერატურაში არც ისე იშვიათია ერთი და იმავე სიუჟეტის ან რომელიმე პასაჟის პარალელური დამუშავების შემთხვევები. სხვადასხვა ავტორების მიერ ამ დროს ერთი და იგივე აზრი სტილისტურად სხვადასხვა ფორმით გამოიხატება. ამგვარი რამ ნიშანდობლივია კ. გამსახურდიას შემოქმედებისთვისაც. სწორედ აქ წარმოჩნდება განსაკუთრებით ხელშესახებად მეტყველების ფორმის ის

სპეციფიკურობა, რომელიც მწერლის — ამ შემთხვევაში კ. გამსახურდიას — მხატვრული სტილის საფუძველს წარმოადგენს.

აქ ჩვენ მოვიტანთ ერთ ნიმუშს, სადაც ნათლად ჩანს, თუ როგორ ენობრივ ფორმად გარდაქმნის კ. გამსახურდია უკვე ცნობილ ამბავს, როგორ მოაქცევს მას თავისეულ ენობრივ სამყაროში. ეს არის ექიმ გ. თევდორაძის ჩანაწერი, რომელიც კ. გამსახურდიამ გამოიყენა ნოველაში „ხოგაის მინდია“:

#89#

გ. თევდორაძე: ...ახალი დაზამთრებაა. ცისკრის სინათლე ოთახის დამტვრეულ ფანჯარაში ნელ-ნელა იპარება, მას დაასწრო ღამით წამოსულმა ხევსურმა და დაუკითხავად უეცრივ ოტახში შემოვარდა: — აბა, ჩემო გიორგი, ადე ჩქარა, ძმა დამიჭირეს, უნდა წამოხვიდე!.. ავდექი... წავედით... მივახწიეთ... საშინელი იყო ჭრილობა... აბრეშუმის ძაფი გავუყარე ნამგლისებურ ნემსის ყუნწში... მიდოდა გამეკერა, მაგრამ დაჭრილმა უეცრივ წამოიძახა: — სანთელი! ამის გაგონებაზე ჭირისუფლები ერთხმად გულშემზარავი ზღრიალით გამოეხმაურენ. — ვაჰმე, დავითო!	იშვიათად წამოუვათ, წელში ამაყად გაიმართნენ. სანთელი დაიწვა, ჩაქრა, ხმალი ნელნელა იხრება ძირს. ერთი კიდევ გაახილა თვალი დავითომ და დავითფერული სავსებით დაეშვა მიწაზე. მიცვალებული შემოსეს ტალავრით. დედამ ასანთი და ნავთი აიღო ხელში, გაიქცა შვილის მკვლელის ეზო-მიდამოს გადასაწვავად. ის უკანვე დააბრუნა მეზობელმა... (გ. თევდორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფილისი, 1930, გვ. 183-185). კ. გამსახურდია: ...ყვერფნის პირად ჩალაზე დაუგო სამძივარამ ლოგინი თავის ქმარს. შემოხსნეს ნაბადი და წამოაყენეს
---	---

— ხმალი! — წამოიძახა მეორედ, სამუდამოდ მიმავალმა ხევსურმა. უცბათ თაფლის სანთელი ჩამოქნეს მსხვილად. — ვაჰმე, შვილო, შენს დედას, — მოთქვამდა დედა. — მარილი, — წარმოთქვა კიდევ ნახევრად მიცვალეზულმა დავითომ. — მოჰკალით! — უკანასკნელად ამოიკვენსა მან. მომაკვდავს მარცხენა ხელში ანთებული სანთელი მისცეს, მარჯვენაში კი ამოღებული ხმალი დააკავებინეს, თანაც დაუნაყავი მარილი ჩაუყარეს პირში. — მოვკლამთ! — ერთხმად წამოიძახეს დავითის ორივე ძმებმა და თანაც ცრემლები მოიწმინდეს, რომელიც ხევსურებს	ზოგაი დათვიათ და ძაღლიკამ — სიყრმის მეგობრებმა... ჯიბისკენ ხელი წაიღო დათვიათ, ნაცადმა დოსტაქარმა, ხელსაწყოს ამოსარებად. სწორედ ამ წუთში თვალი დააფახულა და დაიკვნესა ხოგაიმ: — სანთელი! — ვაჰმე, ხოგაი! შეჰკივლა სამძივარამ, დაფათურდა, კარადასთან მიიჭრა, თაფლის სანთელი მოარბენინა, გამოწვდილ მარცხენაში შეაჩეჩა ხოგაის. — ხრმალი! მოისმა გმინვა. გააძრო დათვიათ მუნვე გდებული ფრანგული ქარქაშს და მარჯვენაში მისცა სულთმოზრდავს. — მახკალით! დაიხროტინა ხოგაიმ, ჩამოზნელებულ სივრცისკენ გაასავსავა
--	--

უმწეოდ ხელები. ხმალი იშიშვლეს დათვიამ, ლომიკამ, უთურგვამ, ბერდიამ და მინდიამ. — მაგკლავთ! შესძახეს მომაკვდავს ხმალამოწვდილმა ვაჟკაცებმა, მაგრამ ეს ხმა აღარ მისწვდენია ხოგაის სმენას. ისევ მიფათურდა სამძივარა და მარილი ჩააყარა ხოგაის პირში... ლოგინი გამოუცვალა მიცვალებულს. ცეცხლს მისცა ძირსნაგები ჩალა. „სალოგინე“ დასწვეს, ტანზე გახადეს ცხედარს, სამი პერანგი ჩააცვეს ზედიზედ	ხევსურული წესით, ჯერ თეთრი, მერმე ლურჯი, ხოლო მათ ზემოდ „კლარტისა“, სისხლისფერი ფარჩის პერანგი. გამოეყო ბნელს ლომიკა ზვიადაური, თავი ჩაჰქინდრა, თელგამიანი, ჩამქრალი თვალები მიაშტერა მიცვალებულს და მორთო ბუტბუტი... აართვა სანთელი მკვდარს, გვერდით მოუსვენა. ოღონდ ეს იყო, ხრმლის გამორთმევა გაუძნელდა ფრიად. ხოგაის გაყინულ თითებს, ძლივს გამოგლიჯეს სამოცწლიან ბრძოლებში ნაცადი ხრმალი...“ (II, 176-177).
--	--

სხვაობა აშკარაა: თუმცა შემზარავი, მაგრამ მაინც ყოფითი, ჩვეულებად ქცეული ფაქტი, ერთი მხრივ, და ზეაწეული, ჰეროიკული სტილიზაცია, მეორე მხრივ. იმავდროულად კ. გამსახურდიას ტექსტი მრავალ ყოფით დეტალს შეიცავს, გამოყენებულთ „ხევსურული ინტერიერის“ წარმოსახავად.

ზემოთ მოტანილი მონაკვეთით წარმოჩნდა კ. გამსახურდიას მხატვრული სტილის კიდევ ერთი თავისებურება: ესაა ისტორიული თუ ეთნოგრაფიული დეტალების უხვად გადმოცემის ტენდენცია. კ. გამსახურდიას მხატვრული ნაწარმოებებისათვის საერთოდ ნიშანდობლივია „ესეისტური ნაკადის“ ჭარბი

მოხმობა, წმინდა აღწერითი პასაჟები, ვრცელი განმარტებანი, დამტევი უხვი ინფორმაციისა და კულტურის ყველა სფეროდან.

თუ როგორ ხდებოდა ამ ინფორმაციის მოგორვება, ამის თაობაზე ერთგან თვით მწერალს აქვს ნათქვამი: „მე მრავალგზის მომიხდა წისქვილის, ურმისა და გუთნის ცალკეული ნაწილების ჩაწერა: სკრაში, სურამში, ზემო იმერეთსა და ხევსურეთში. ამ ელემენტარულ სამეურნეო იარაღების ტერმინოლოგიაც განსხვავებულია ამ მცირემანძილიან ტერიტორიაზე...“ (VIII, 217).

იმის გამო, რომ კ. გამსახურდია ხშირად მიმართავს ისტორიულ თუ ეთნოგრაფიულ რეალიებს, ეს იწვევს მრავალრიცხოვანი სპეციალური ტერმინის ჩართვას მწერლის აქტიური ლექსიკის მარადგში.

„ზარდახანის მოლარემ აღვირი მოართვა, ლაგამი ამოსდო ოქროსფერ ულაყს, მერმე ზარდახანის მეჯინიბე მიეწრა, საყბეური შე

#91#

შეუსხა, ზარდახანის მოლარემვე შეუდგა უნაგირი. შეჯდა მეფე და ზარდახანისუხუცესმა მათრახი მიართვა. დაწინაურდნენ აჩუხჩი და ზარდახანისუხუცესი. გიორგიმ ცხენს მათრახი სწყვიტა. უკან გამოუდგნენ სამივე ერისთავნი, მერემეთუხუცესი, მენადირეთუხუცესი და ბაზიერნი. ატყდა ბუკის ცემა მეფის ნაკრძალში. სპილენძის დაფდაფებს სცემდნენ მეითარები და მარეკები, უცნაურის ღრიანცელით მოსდევდნენ ტყეს“ (II, 472).

ამ შედარებით მოკლე მონაკვეთში ისტორიული და ყოფითი რეალიის აღმნიშვნელი რამდენიმე ტერმინია გამოყენებული (ზარდახანა, ზარდახანის მოლარე, მეჯინიბე, უხუცესი, მერემეთუხუცესი, მენადირეთუხუცესი, ბაზიერი, მეითარი, მარეკი... აღვირი, ლაგამი, საყბეური... ბუკი, სპილენძის დაფდაფები...). იმავდროულად მოცემულია ამ რეალიების მიმართების ზუსტი აღწერაც: ვინ როგორი

თანმიმდევრობით აღკაზმავს ცხენს, ვისი მოვალეობაა მეფისათვის მათრახის მირთმევა, რა მოვალეობა აკისრიათ მეითარეებსა და მარეკებს და ა.შ.

ყველა ეს დეტალი ქართულ ისტორიულ ძეგლებშია დამეხნილი. მოვიტანთ შესაბამის ადგილს ხელმწიფის კარის გარიგებიდან: „ცხენი რაჲ ითხოვოს მეფემან, ზარდახნის მოლარე აღვირთ მისცემს, მისრატული პირსა აუსხამს, ერთს ყურს გაუყოფს და მეორეს აღარა; მერმე ზარდახნის მეჯინიზე აუსხანს, საყბურს შეუსხამს; ზარდახნის მოლარე უნაგირს გარდასდგამს, სამუეთ აღარ ჩაუყრის; იგივე ზარდახნის მეჯინიზე შეჰკაზმავს და წაიყვანს, მისრატულთუხუცესს მიუყენებს. შეჯდების და მათრახი ზარდახანის უხუცესმა მისცეს და ორივე (ზარდახნის მეჯინიზე და მისრატულთუხუცესი) უკანით იარებიან. ზარდახნის უხუცესი და ამირჩუხჩი წინათ იარების...“¹

ამ რიგის ცნობები ამოკრეფილია სხვაენოვანი წაყროებიდანაც.

თვით მკურნალობის საშუალებიანიც კი ძველ საქართველოში დაწვრილებითაა გადმოცემული: „სულზე მოუსწრო თურმანიძემ ავადმყოფს. მარჯვენა მკლავი გაუხსნა აქიმმა. სისხლი ადინა საგუალის ძარღვიდან. გრილი შარბათები ასვა. ვარდის კაჭკაჭის ფოთლები დაანაყვინა ნონაის, უხვად ასვა წვენი, ქაფურში გავლებული გრილი ტლები შემოადგა. სამ დღეში გამომჯობინდა არსაკიძე“ (II, 652).

ანდა: „ეჰ, უკვე აღარა ვარ ოსტატი, შვილო, ამჟამად გიორგი მეფის შევარდნებს რევანდის ოყნას ვუკეთებ, თრიაქ ფარუხს ვასმევ მიმინოებს ფილენჯისაგან განსაკურნავად“ (II, 656). ღირსსაცნობი ხერხია, სავსებით ჩვეულებრივ დიალოგში, ვითომცდა სასხვათაშორისოდ, ჩაერთოს დაწვრილებითი ინფორმაცია, თუ რა დაავადება შეიძლება შეეყაროს შევარდენსა და მიმინოს, როგორ ხდება მათი მკურნალობა.

ანალოგიური ინფორმაციითაა შეზავებული ის ეპიზოდები, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ ხდება: „კეისარი ვერცხლის

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, 1970, გვ. 40-41.

#92#

ტახტზე იჯდა. მხარმარჯვნივ სამი ოქროსთორიანი პატრიციუსი იდგა, მხარმარცხნივ სამი თარჯიმანი. ოქროს გვირგვინი ეხურა ბასილის თავზე. მარგალიტებით მოოჭვილი ძოწეული ტანზე ეცვა, კისერზე პატიოსანი თვლებით დახუნძლული ჯაჭვი ეკიდა, ფეხზე წითელი წაღები ეცვა, აღმასებითა და მარგალიტებით მოოჭვილი სრულად“ (II, 569).

უხვი ისტორიული, ეთნოგრაფიული, ყოფითი თუ სხვა სახის ინფორმაციები კ. გამსახურდიას თხზულებათა ერთ-ერთი არსებითი ნიშან-თვისებაა.

9

კ. გამსახურდია ხშირად მიმართავს შეგონებებსაც (ასე ვთქვათ, „ფილოსოფიურ ინფორმაციებს“), რომლებიც გაშლილი აფორიზმების სახითაა წარმოდგენილი მის მხატვრულ ნაწარმოებებში. დავასახელებთ რამდენიმე ნიმუშს:

„ცნობილია, ვისაც სიყრმეში არ გაუხარნია, ვისაც ბავშვობაში სიჭაბუკე წამოწევია, ხოლო სიჭაბუკეში შუაკაცობის ტვირთი, მას მარადჟამს თან დაჰყვება გაცდენილი სიყრმისა და სიჭაბუკის დარდი“ (II, 544).

ან: „სულ მცირე, უსუსური ღელე დაახრჩობს მრავალნაცად მეომარსა და მსოფლიო მოგზაურს, თავის სამშობლოში უსამშობლოდ ქცეულს (II, 570-571).

ანდა: „მლიერს უფრო მეტად უჭირს ამქვეყნად. მიტომაც მუდამ დაღრენილნი დადიან ლომები, ვეფხვები და ავაზები, ხოლო თრითინები, თაგვები და ციყვები მუდამ მხიარულად დაცუნცულებენ“ (II, 606).

ღირსსაცნობია ის ფაქტი, რომ იმის მიხედვით, თუ რა შეგონებას წარმოთქვამს ესა თუ ის პერსონაჟი, ხდება მისი შინაგანი ბუნების ხასიათის გახსნა, ანუ: შეგონებაც გამოყენებულია პერსონაჟის დასახასიათებლად. შევუდაროთ, მაგალითად, ერთმანეთს ამ თვალსაზრისით არსაკიძე და განმგეთუხუცესი:

არსაკიძე:	განმგეთუხუცესი:
ხელოვნება გულის სისხლს მოითხოვს საფასად. თუ მთელი ჯანი არ შეაღიე ამ სასტიკ ბომონს, არაფერი გამოგვივა ხელიდან (II, 627).	მამლარი მონები ვერაფერს შექმნიან კარგს. ეს ციხეები, ეს ეკლესიები და ეს სასახლეები მშიერების მიერაა აშენებული (II, 648).

კ. გამსახურდიას მხატვრული მეტყველებისათვის ნიშანდობლივია ფერების უხვი გამოყენება და იმავდროულად მათი აღჭურვა სიმბოლოების ფუნქციით. ესეც სავსებით გააზრებულად აქვს მას მოხმობილი. ამის თაობაზე ასე აღნიშნავს თვით მწერალი: „ზოგს ვერ გაუგია,

#93#

რადა ვხმარობ მე ამდენ ფერებს? დააკვირდით: ჩრდილო ქვეყნებსა და ცენტრალურ ევროპაში სამი კარდინალური ფერი სჭირია მხატვარს, რადგან ლანდშაფტს ამ ქვეყნებისას და ნაჩრდილევისა და ნაშუქის გადმოცემას მეტი არ ესაჭიროება. ხოლო აღმოსავლეთის და სამხრეთის მხატვრები, ირანელები, ჩინელები, იტალიელები, ესპანელები და ფრანგები უამრავ ფერებს ხმარობენ... სამხრეთელი ბუნების აღწერაში თვით მასალა ეძალევა ავტორს...“ (VIII, 224; VI 255).

კ. გამსახურდია სათანადოდ ერკვეოდა მხატვრობაში. ამ მხრივ საცანურია ის ფაქტი, თუ როგორ გადმოსცემს იგი ამა თუ იმ მხატვრის ნახატს. მოვიტანთ ერთ ამონარიდს ესეიდან დავით კაკაბაძის შემოქმედების შესახებ: „სავსებით ბრწყინვალეა ის რამდენიმე აქვარელი, რომელიც მიუძღვნია მხატვარს წალვერული პეიზაჟებისთვის... ნამრუდისფერი ტყეების ფონზე პაწია წალვერული ხის კოტეჯები, წინა პლანზე ორი მათგანის ფრონტონი გამოხუნებული ოქროს ფერისაა, ერთის შეხედვით ისინი მოგაგონებენ ოქროცურვილ ფარებს. ეს მოოქროვილი ფრონტონები ეხმაურებიან ამ პაწია კოტეჯების გადაღმა გაფეხილ ძნიან ყანებს. ფერთა ზეიმის მაცნეა დ. კაკაბაძის იმერული პეიზაჟები. ზემო იმერეთის ზეგანი, ტერაკოტის ფერები, ბროწეულის ყვავილისა და სმარაგდის ფერებთან ჰარმონულად შერწყმული, ყოჩივარდასფერი ტალები შესხურებულია აქა-იქ, ხეების სიმწვანე ფუნჯის ნაზი მოცაცუნებითაა შესრულებული, საერთოდ, მთელი ეს ლანდშაფტები შორეულ პერსპექტივაშია აღებული...“ (VI, 493-494).

ფერებით აზროვნება კ. გამსახურდიას მხატვრული სტილის განმსაზღვრელი ძირითადი ნიშანია. ფერი არსებითად საგნის თვისებადაა გამოტანილი, მისი შინაგანი ბუნების ამოცნობის ერთ-ერთ საშუალებადაა ქცეული.

ფერთა გამოხატვის ნაირგვარი ხერხი აქვს მომარჯვებული მწერალს.

ზოგან ფერთა ჩამოთვლაა მხოლოდ: „სამეფო ბაღში ირანული ვარდები გაშლილიყვნენ, სისხლივით წითელნი ზოგნი, ნუშისგულივით თეთრნი, მოყვითალონი სხვანი, ყვითელი კი არა, ძველთუძველესი სპილოსზვლის ფერისანი. ჰყვოდნენ ბაღის ყაყაჩოებიც. სუსამბარები და ნარგიზები, ნაირ-ნაირი მიხაკები, რომელთა ფერების ასაწერად წამალი არ ეყოფოდა ადამიანის სიტყვას. იისფერნი, მზისფერნი, სინგურისფერნი და ხოხბის ყელისფერნი, ფარავანგის ბოლოსებრ მოხატულნი, ჰინდური ყვავილები ნაირ-ნაირნი“ (II, 690).

სხვა შემთხვევაში ფერთა ურთიერთგადასვლაა გამოხატული: „**ლაინისფერ** მთებზე ალაგ-ალაგ ელავდა ხასხასა **სითეთრე**. **მწვანე** შემოსდგომოდა არაგვის ხეობას.

ჰყვოდა ნუში. ქედანისფერი, მგლისფერი და ზღვისფერი ებრძოდნენ ურთიერთს კორდებზე... მზე ეთხოვებოდა მცხეთის ტაძრების მოოქროვილ გუმბათებს..." (II, 572).

ასეთი ნაირფერადოვნებითაა წარმოსახული სვეტიცხოვლის ტაძარიც: „...დილით ხელიკისფერია იგი, მოუღალავი მზით გაშუქებული,

#94#

შელამებისას ოქროცურვილია, ხოლო მწუხრის შემოდგომისას, თუ ვარსკვლავიანმა ცამაც დაადგა თვალი, ცას მიეჭრება მისი მრუდე ჰარმონიით აღვსილი ხაზების ზესწრაფვა“ (II, 461).

მართალია, ფერთაშენაცვლების აღწერის იგივე ხერხი სხვაგანაც წარმოჩნდება, მაგრამ მონოტონურობის შთაბეჭდილება არ რჩება იმის გამო, რომ უკვე თვით ფერადოვნებაა სხვაგვარი: „ლაინისფერი და იისფერი ებრძოდნენ ურთიერთს ცარგვალზე მცირე ხანს, ენდოსფრად შეიღებნენ დურაჯისფერი ქულები, კრაველებივით მიმოზნეულნი ცაზე, ბოლოს სოსანისფერი წამლებით შეღება ღრუბლები უჩინარმა არსთა მხატვარმა, იფეთქა ფურცლოვანსი სიმწვანემ და აჟღერტულდნენ ჩიტუნები საამოდ“ (II, 644).

ფერთა გადმოცემის სხვა ხერხსაც მიმართავს კ. გამსახურდია. იგი ასახელებს საგანს, მაგრამ ისეთ კონტექსტში, რომ იგი ამა თუ იმ ფერად შეიცნობა მკითხველის მიერ:

„მახლობელ სამლოცველოს ნანგრევიდან წამოიშალნენ ყორნები. უცნაური ყრანტალი შეჰქმნეს, მერე აირივნენ ჰაერში და მელნის ლაქებად შეესხნენ სადაფისფერ ცას“ (II, 523), მელნის ლაქები მელნისფერად აღიქმება აქ. ანდა: „ბოლოს მოაწია რიჟრაჟმა, ატყდა ნათელი ლიცლიცი გარეთ, ყაყაჩოები დაათოვა მწვერვალებს ცამ, იფრქვევა იისფერი შუქი, როგორც ჩქერალები ფხოვის მთებიდან“ (II, 792).

ფერთა წარმოების ყალიბი კ. გამსახურდიას ერთი აქვს: შესაბამისი საგანი, მიმატებული სიტყვა „ფერი“: აგურისფერი, სოსნისფერი, ჟანგისფერი, კარაქისფერი.

გარდა ამისა, როგორც უკვე ითქვა, იგი ტვით საგანსაც ხმარობს ფერის გამოსახატავად („ყაყაჩოები დაათოვა მწვერვალებს ცამ“). ამ ორი საშუალებით იგი ახერხებს ფერთა უმცირესი ნიუანსების გამოხატვას. სულ რამდენიმე ძირითადი ფერია, მაგრამ მრავალნაირია ელფერი და ტონი:

თეთრი: რძისფერი, თოვლისფერი, ვერცხლისფერი, ბამბისფერი, ცარცისფერი...

ყვითელი: მზისფერი, ოქროსფერი, ლიმონისფერი, ქარვისფერი, ლომისფერი...

ლურჯი: ლილისფერი, შაბიამნისფერი, აქატისფერი...

წითელი: ლალისფერი, ალისფერი, სისხლისფერი, ზოწისფერი, იასპისფერი, ენდოსფერი, სინგურისფერი...

მწვანე: გვიმრისფერი, მალაქიტისფერი, ვასაკისფერი და ა.შ.

11

კ. გამსახურდიას პროზისათვის ასევე ნიშანდობლივია კონტრასტის პრინციპის გამოყენება მოვლენისა და საგნის უფრო რელიეფური გამოკვეთის მიზნით. თვით პერსონაჟების გამოხატვა ხშირად ეფუძნება ამ ხერხს. ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენის“ პერსონაჟები:

გიორგი I და მელქისედეკ კათალიკოსი,

#95#

არსაკიძე და ფარსმან სპარსი,

შორენა და ვარდისახარი...

ჟინს აყოლილი გიორგი მეფე და ხორციელ ცხოვრებას სავსებით განრიდებული მელქისედეკ კათალიკოსი:

გიორგი ადრე დააწვა გიორგის ჭაბუკურ მხრებს ომებსა და აჯანყებებში დანთხეული სისხლის კოშმარი... ადრე მოსწყინდა მეფეს დარბაზობის გრძელი ცერემონიები და ხელმწიფის კარის გარიგების სასტიკი ეთიკეტი... საწოლის დარბაზის ბუმბულს მეცხვარეებთან ღამის თევას არჩევდა, მირთმეულ ირმის ცურს — სახელდახელოდ ტყეში შემწვარ მწვადებს. მხოლოდ ასეთ წუთში სჯეროდა გიორგის, რომ ეს ქვეყანა მარტოდენ საომრად არა ყოფილაო გაჩენილი (II, 544-545). მელქისედეკი ცისკენ თავაშვერილ მამალს წააგავდა	მელქისედეკ კათალიკოსი, შობა დღის ქადაგების მთქმელი. რაღაც უჯიათი შეუმუსვრელობა გამოსჭვიოდა ხორცდაშრეტილი ბერის ჩონჩხადქცეული აღნაგობიდან. ტირანული სისასტიკე გართხმულიყო ძარღვებდაბერილ შუბლსა და ენერგიულ დაწვისთავებს შორის, ციმციმებდნენ ტიარის ალმასები, ვარვარებდა ოქროს კომფორი უამრავი სანთლის ერთობლივ ლიცლიცზე... იდგა მელქისედეკი ამაყად, თავაწეული და გაუდრეკელი, როგორც სეფედროშა გამარჯვებული ლაშქრისა... (II, 571-572).
---	--

ავანტიურისტი ფარსმან სპარსი და ხელოვნებას თავშეწირული კონსტანტინე არსაკიზე:

ფარსმანი ფარსმანი „ყოველ სარწმუნოებას იდუმალ (რათა საკუთარი დაემალა), ყოველი ეროვნების კაცს ამასხარავებდა (რათა საკუთარი არ გაემხილა როგორმე. II, 490). ფარსმანისგან ჰქონდა	ამქვეყნად, როგორც ბრძენკაცს, გმირსა და ოსტატს (II, 575). ფარსმანი სათქმელს აროდეს იყოდა ჯიქურად (II, 656), „როგორც ყოველ ავანტიურისტს... მასაც რამდენიმე ხელობა ჰქონდა მომარჯვებული“ (II, 490). არსაკიძე
--	--

მინიშნული კონსტანტინეს: ბრძენკაცი უნდა იყვეო და შლეგად მოაჩვენოო თავი, გმირი უნდა იყვე და ჯაბანივით დადიოდე, ოსტატი უნდა იყვე და ხელმოცარულად მოგქონდეს თავი, რადგან არავის იმდენი მტერი არა ჰყავსო	არსაკიძე დღენიადაგ ხარაჩოებზე დაბობლავდა... ციხეთა და ეკლესიათა მშენებლობას თვალს ადევნებდა. დაქანცული, კირში ამოთხვრილი ბრუნდებოდა ნასამხრალზე შინ, ზეზეურად წაიხემსებდა, კვლავ სამუშაოს
--	--

#96#

მიუჯდებოდა (II, 573) ხალხს გულამაყი ეგონა არსაკიძე — უთვინიერესი ბუნებით (II, 575). არსაკიძე ებრძოდა „უხეში ლოდების ქაოსს, როგორც კოჭლი იაკობი თავის მრისხანე ღმერთს“ (II, 575). „კურთხეულია მხოლოდ ნაბიჯი ვალმოხდილისა, შრომაა უდიდესი	სიქველე ამქვეყნად და არც არაფერი ამშვენებს ისე ვაჟკაცს, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცე“ — ფიქრობს არსაკიძე (II, 576). „მე არ შემიძლია მლიქვნელისა და კარისკაცის მოვალეობა ოსტატის საქმესთან შევათავსო“ (II, 695).
---	--

ხორციელ ვნებებს მიმყოლი ვარდისახარი და ღვთაებრიობის ნიშნით
აღბეჭდილი შორენა:

ვარდისახარი „კისკისა, ტიკტიკა, ფეროვანი, ჭარბვნებიანი, სიცოცხლეზე შეყვარებული, მარად სიმდიდრის მონატრული და მქირდავი ბედისა.	ხელები ჰქონდა ვარდისახარს... ხმა ჰქონდა ბოხი, იგიც მამაკაცური ოდნავ“ (II, 636). შორენა „ფაქიზი იყო შორენა, როგორც ქერუბიმის ფრთენი და სევდიანი, როგორც ყინწვისის მჭმუნვარე ანგელოსი. ყელისმიერი ხმა ჰქონდა, ისეთი წკრიალა,
--	---

მხოლოდ ვნებისთვის, მხოლოდ სარეცელისთვის გაჩენილა ეს აშარი დიაცი... ოდნავ ტლანქი, თითქმის მამაკაცური	როგორც ვერცხლის ეჭვნები, ხევისბერების დროშის ბუნზე შებმულნი. ჰარილესავით რბილი და ტფილი იყო მისი ბუნება სრულად“ (II, 637).
---	--

კონტრასტის პრინციპი თვით ცალკეულ პერსონაჟთა ხასიათების გახსნისთვისაც არის მოხმობილი:

არსაკიძე: „ხალხს გულამაყი ეგონა არსაკიძე — უთვინიერესი ბუნებით“ (II, 575).

გიორგი მეფე: „ვაჟკაციც ვიყავი და მშიშარაც... გულზვიადიც ვიყავი და ლოთიც, მაგრამ ჩემი ხალხისთვის არასოდეს მიღალატნია...“ (II, 788).

ასევე კონტრასტული პიროვნებაა მელქისედეკიც:

„გაოცებული იყო არსაკიძე: როგორი სათნო კაცი ყოფილაო მელქისედეკი! ტკბილად შესაყვარელი და ამოდმოუბარი ეჩვენა...“ (II, 653).	„საქმიანობაში აუტანელი იყო მელქისედეკი, წვრილმანი, სასტიკი, განუზომლად ახირებული ხშირად. კირითხუროებს, კალატოზებს და მონებს მეხივით ეშინოდათ მისი“ (II 653).
---	---

#97#

პერსონაჟების კონტრასტული ასახვა უფრო რელიეფურად დაგვანახებს მათ, უკეთ ჩავვახედებს მათ სულიერ სამყაროში, მეტ ცხოვრებისეულობას ანიჭებს თითოეულ მათგანს.

კ. გამსახურდიას თითქმის ყველა ნაწარმოების პერსონაჟები ტრაგიკული ბედისანი არიან. ტრაგიკული საწყისი ფრიად საცნაურია კ. გამსახურდიას შემოქმედებისათვის. ბრძოლის დაუოკებელი ჟინი, არსებული სინამდვილის გარდაქმნის სურვილი გარდუვალ აღსასრულს უმზადებს მათ. ეს ბედისწერაა მათი. სიხარულიცა და სიყვარულიც ტკბილნარევი არგუნა მათ განგებამ.

ბედისწერის ლაიტმოტივი კ. გამსახურდიას ყველა ნაწარმოებში იჩენს თავს. უმეტესწილად შეფარულად, პერსონაჟების მოქმედებითა და განცდებით ცნაურდება იგი, მაგრამ ზოგჯერ მწერალი პირდაპირ მიანიშნებს ბედისწერის გარდუვალობაზე.

ბედისწერამ განუმზადა გიორგის გვირგვინი მეფისა. და იყო წუთები, როცა მეფედ არყოფნას ნატრობდა იგი, რამეთუ სწორედ მეფობა გახდა მიზეზი მისი პიროვნული ტრაგედიისა.

ბედისწერა თამაშობს ადამიანებით. როლები წინასწარაა განაწილებული და ადამიანები ძალაუვნებურად ჩართულნი არიან ამ ტრაგიკულ თამაშში..

ამიტომაც არის ღრმად დარწმუნებული მომაკვდავი გიორგი მეფე, რომ მას გველისფერი წმიდა გიორგის რისხვამ უწია (II, 788).

ამიტომაც არის, რომ თავის მისწრაფებათა განწირულება სწამთ არსაკიძესა და შორენას:

„მეც შენსავით მუდამ შეუძლებელსა და მიუწვდომელს მივეტრფოდი ჩემს სიცოცხლეში, უტა, შორეული მუდამ უფრო სანუკველია, ვიდრე მახლობელი“ — ეუბნება შორენა არსაკიძეს (II, 748).

„ეგეც კარგად მესმის — შენსა და ჩემს შორის რა მაღალი კედელი აღუმართავს ბედს“ — ესეც შორენას სიტყვებია (II, 727).

„რა დიდი გზა, როგორი წამების გზა უნდა გაგვევლო თურმე, რათა ერთმანეთი შეგვეცნო ბოლოს!“ (II, 724) — არსაკიძის ამ სიტყვებშია კონცენტრირებული მთელი

მისი ცხოვრება, ტანჯვით მოპოვებული ნიჭი სამყაროს შეცნობისა. სწორედ ამის გამო უყვარს კიდევაც მას „ეს განწირული სულისკვეთება“. სწორედ ამიტომ ესწრაფვის იგი ტკივილიან ბენდიერებას: „და რა საშინელი იყო არსაკიძისათვის მხოლოდ წარმოდგენა იმისა, რომ ეს სანატრელი, ეგ ძვირფასი არსება უღვთოდ გაეწირა ბედს. ეგეც იყო, ეს განწირულება მომეტებულის სხივით მოსავდა არსაკიძის თვალში მას, რადგან კონსტანტინეს ყოველივე განწირული უყვარდა ბუნებით“ (II, 724).

ბედისწერასთან ბრძოლაში ხედავენ კ. გამსახურდიას გმირები

#98#

თავისი ცხოვრების უმთავრეს მიზანს, ბრძოლის წყურვილის სიმძაფრეს უფრო მკვეთრად წარმოაჩენს მათი ტრაგიკული აღსასრული.

ამ თვალსაზრისით კ. გამსახურდიას რომანები და ნოველათა უმეტესობა ტრაგედიებია.

13

კ. გამსახურდიას სტილისათვის ისევეა დამახასიათებელი სიტყვიერი ორნამენტები, როგორც ძველი ქართული ტაძრებისთვის ნაირსახოვანი ჩუქურთმები.

კ. გამსახურდია ენას უდგებოდა მწერლის, მხატვრულ სახეთა შემოქმედის პოზიციიდან. ამიტომაც იყო მისთვის არსებითი ემოციური საწყისი, ამიტომაც სჭარბობს სუბიექტური ფაქტორი ენობრივ მოვლენათა მისეულ შეფასებებში.

მოვიტანთ ერთ ნიმუშს.

პირის ნიშანი ენის ობიექტური მონაცემია. მისი დანიშნულებაა ზმნაში აღნიშნოს სუბიექტურად ან ობიექტურად წარმოდგენილი პირის რომელობა. აღნიშვნა ხდება სპეციალური მორფემებით — პირის ნიშნებით. ამ რიგისა მესამე ირიბობიექტური პირის ნიშანიც -ჰ || -ს.

კ. გამსახურდია დაბეჯითებით მოითხოვდა ყვავ-ი-ს ფორმაში ჰ- პრეფიქსის გამოყენებას; მისი აზრით, უნდა იყოს: ჰ-ყვავ-ი-ს, რომ ეს არ აირიოს „ყვავ-ი“ არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის (ყვავ-ის) ფორმასთან: „მე გახლდით გურიაში და აღშფოთებული დამხვდა გურიის საზოგადოება ირაკლი აბაშიძის ერთი ლექსის „ჰყვავის გურია“ გამო... ამ ლექსის სათაური იყო „ჰყვავის გურია“ კი არა, „ყვავის გურია“. ამიტომ გურულები სამართლიან უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ ჩემს წინაშე და მიმტკიცებდნენ, რომ გურია ყვავისა კი არა, საქართველოსიაო“ (VII, 493).

ობიექტურად ამ ზმნას არ სჭირდება ჰაე: ზმნა ერთპირიანია და ორი პირის ნიშანი აღმოჩნდება ჰ- პრეფიქსის დართვისას: ჰ-ყვავი-ს, ერტი — არარსებული პირისა. მაგრამ სუბიექტურმა გააზრებამ „აუცილებელი“ გახადა ჰ-პირის ნიშნის გამოყენება. ჰ აქ უკვე სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის განმასხვავებელ ელემენტად გაიგება.

ასეთი გააზრების გამოა, რომ კ. გამსახურდიას აუცილებლად მიაჩნია მართებული ჩან-ს, ქრ-ი-ს ფორმათა ნაცვლად გამოყენებულ იქნეს ს-ჩანს-ს, ჰ-ქრ-ი-ს (VIII, 261).

ანალოგიური პრინციპით სხვა ენობრივი მოვლენებიც აქვს შეფასებული კ. გამსახურდიას.

ერთი რამ უნდა ითქვას ამასთან დაკავშირებით: ის. რაც ამა თუ იმ მწერლის მხატვრულ სტილს მოერგება, რა თქმა უნდა, მხოლოდ ამიტომ სალიტერატურო ენაში დამკვიდრების რეკომენდაციად ვერ მიიჩნევა.

#99#

კ. გამსახურდიას შემოქმედების საფუძველს წარმოადგენს ქართული მითოსისა და ევროპული ესთეტიზმის ორგანული შერწყმის ტენდენცია.

„დიონისოს ღიმილის“ შესახებ თვით მწერალი აღნიშნავს: „გენეტურად იგი დასავლეთურ რომანიდან გამოდის“ (V, 952). ევროპული პროზის პოეტიკური პრინციპები ედება საფუძვლად კ. გამსახურდიას სხვა ნაწარმოებებსაც.

იმავედროულად: „პირველთაგანვე იყო მითი. ამ ქვეყნად ყოველივე მითით შეიქმნა, რაც კი რამ შეიქმნა. მითი წინ უსწრებდა ადამიანის ყოფას. მითი იყო უპირველესი განზრახვა ღმერთკაცისა და ხელოვნებისა. და როცა ყოველივე არარად იქმნება, დარჩება ალბათ: მითი...“ (II, 92). ასე რომ, თავის შემოქმედებას კ. გამსახურდია არსებითად აფასებდა, როგორც მითის ქმნადობას. „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენის“ შესავალში ავტორი აცხადებს: „წელიწადზე მეტია, რაც ეს ამბავი ჩემს სულში სდუღს, ბოლოს იგი დაიწრიტა, ჩემს წარმოდგენაში შედედდა, სიტყვამ ხელები შეისხა და გადმოინთხა ქალღმერთზე, როგორც ნათელი მითი, საუკუნოთა არმურიდან გადმონაჟონი“ (II, 466).

პატრიარქალური ყოფის ელემენტებს უახლესი ტექნიკის მიღწევები ენაცვლება. თვით პერსონაჟებშიც კი ეს ორი საწყისია წარმოჩენილი, ურთიერთშეხამებული, არაიშვიათად — ურთიერთშეჭიდებულიც.

ქართული მითოსიდან მოდის ცხოველების თაყვანისცემა, ნადიროვების ტრფიალი, რაც ასე ხშირად იჩენს თავს კ. გამსახურდიას ნაწარმოებებში.

კ. გამსახურდიას ნაწარმოებების გარეგნულ ფორმაშიც ურთიერთშეხამებულია აღმოსავლური ტრადიციული პროზისა და ევროპული კლასიკური თუ უფრო მოგვიანო ხანის რომანის პოზიტიური მონაპოვრები. თვით კ. გამსახურდიას სიტყვებია: „...მე მოვსძებნე სინთეტიური გეზი ევროპულსა და სპარსულ სამიჯნურო რომანს შორის (ვგულისხმობს ცალკერძ ფრანგულსა და ცალკერძ „ვისრამიანის“ ქართულ ვარიანტს)...“ (V, 951-952).

ყველაფერი ეროვნული მაშინ არის ფასეული, როცა იგი უნივერსალიზმის პრინციპს ეხმაურება. ისევე, როგორც უნივერსალურს მაშინა აქვს ფასი, როცა იგი ეროვნულის სამსახურში დგას.

დამახასიათებელია ამ მხრივ კ. გამსახურდიას ორი გამონათქვამი:

„არაფერი ნაციონალური საყურადღებო არაა, რასაც უნივერსალური მნიშვნელობა არ მიერწყვება“ (II, 813).

და: „ნაციონალური ტემპერამენტის პრიზმაში გატარება ინტერნაციონალური ყოფისა, ეს არის თანამედროვე მწერლობის პირდაპირი მიზანი“ (VI, 605).

კ. გამსახურდია ყოველთვის ცდილობდა სწორედ ამ თვალსაზრისიდან

#100#

ამოსვლით განეჭვრიტა და შეეფასებინა არა მხოლოდ საქართველოს ისტორიული ბედი და მისი მისია, არამედ თავისი ნოველებისა და რომანების ცალკეულ პერსონაჟთა სულიერი სამყაროც, მათი მოქმედებანი და მისწრაფებანი.

ამიტომაც არის, რომ მან მაქსიმალურად გააფართოვა როგორც თავის ნაწარმოებებში ასახული გეოგრაფიული გარემო, ასევე პერსონაჟთა ინტელექტუალური სამყარო.

თითქმის მთელი ცივილიზებული აღმოსავლეთი შემოდის კ. გამსახურდიას ასახვის სფეროში მაშინ, როცა მწერალი საქართველოს ისტორიულ წარსულს იხდის თავისი ნაწარმოებების თემად. მისი მიზანია ამ ფონზე იქნეს წარმოჩენილი ის პერიპეტიები, რომლებშიც ჩართული აღმოჩნდა მაშინდელი საქართველო. გიორგი მეფისა და განსაკუთრებით კი დავით აღმაშენებლის სახელმწიფო მოღვაწეობა გარკვეულად უთუოდ განსაზღვრავდა იმდროინდელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ ცხოვრებას. ქართველები არა მხოლოდ საქართველოს საზღვრებს იცავენ გარეშეთა

ხელყოფისაგან, არამედ ჯვაროსნულ ომებშიც იღებენ მონაწილეობას და ამით თავისი წვლილი შეაქვთ საერთოდ ქრისტიანობის განმტკიცებაში.

თანამედროვე პერსონაჟები უკვე ევროპის ცივილიზაციას მიეღწვიან. კონსტანტინე სავარსამიძე, თარაშ ემხვარი ევროპაშემოვლილი, ევროპულად განსწავლული ადამიანები არიან, რომლებიც სამშობლოში დაბრუნებისას არსებითად პატრიარქალურ ყოფას შეაწყდებიან. მათ სისხლში ჩაბუდებული ეს სამყარო ისევ იღვიძებს, ახალი ძალით იფეთქებს, რაც მათი დაღუპვის მიზეზი ხდება საბოლოოს.

15

კ. გამსახურდიას შემოქმედებისათვის ნიშანდობლივი სტილიზაციის ტენდენცია განაპირობებს უპირატესობა აქცენტის გადატანას ლიტერატურული პერსონაჟების გამოძერწვაზე.

არსებობს ძირითადად ორი სახის მხატვრული პროზა (ორივე თანაბრად ფასეული მხატვრული აზროვნების თვალსაზრისით): ერთ შემთხვევაში მწერლის მიზანია წარმოსახოს რეალურად არსებული ნატურა, მეორე შემთხვევაში მწერალს მიზნად აქვს დასახული გარკვეული მსოფლმხედველობითი იდეის ხორცშესხმა. ამ შემთხვევაში იქმნება წმინდა ლიტერატურული პერსონაჟი. პირობითად ისინი შეიძლება განვასხვავოთ როგორც ნატურა და პერსონაჟი. მკვეთრი ზღვარი მათ შორის უფრო თეორიულად შეიძლება დავადგინოთ, ვინემ პრაქტიკულად ვიპოვოთ. მხატვრულ ნაწარმოებში ამ ორი საწყისის ურთიერთშერევის შემთხვევები გაცილებით უფრო ხშირია. მეტი სიზუსტისთვის შეიძლება ვილაპარაკოთ ნაწარმოების მოქმედ პირზე, რომელშიც ჭარბობს ნატურის მონაცემები და მოქმედ პირზე, რომლისთვისაც უპირატესად პერსონაჟის ნიშნებია დამახასიათებელი.

#101#

კ. გამსახურდიას ნაწარმოებებში გვხვდება როგორც ნატურა, ასევე პერსონაჟი.

ნატურაა არსებითად ლუკაია ლაბახუა, გვანჯ აფაქიძე („მთვარის მოტაცება“), ნონა, ვარდისახარი, ქიტესა, ესტატე... („დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“).

მაგრამ კ. გამსახურდიას წერის მანერისათვის უფრო ნიშანდობლივია პერსონაჟების შექმნა. მისეულ პერსონაჟებშიც ხშირია ნატურისათვის ნიშანდობლივი თვისებების წარმოჩენა, მაგრამ განმსაზღვრელი ეს მაინც არ არის.

პერსონაჟები არსებითად მწერლის იდეის პერსონიფიკაციას წარმოადგენენ. ამიტომაც იქმნება სულ სხვა სინამდვილე, სინამდვილე პირწმინდად ესთეტიკური, მიზანდასახული, წინასწარ გამიზნული. ამგვარი სინამდვილის შექმნა ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისებაა პოეტური პროზისა. აქ უპირატესობა შემოქმედის პოეტურ ხედვას ენიჭება, ყოველი კონკრეტული ფაქტი შემოქმედის შეფასებითაა წარმოდგენილი: „სხვა რა ევალება ოსტატს, თუ არ წამიერის მარადჟამულად ქცევა? სხვა რა ევალება ამქვეყნად ოსტატს, თუ არ ჭიდილი წარმავლობის ნისლთან?“ (II, 643). ამრიგად, რეალურიდან, წამიერიდან იგი ქმნის ახალ სინამდვილეს, სამარადჟამოს...

16

კ. გამსახურდიას პროზისათვის მოვლენათა გამოხატვის მაქსიმალური ექსპრესიულობაა დამახასიათებელი. ექსპრესიულობა ნაირგვარი საშუალებებით მიიღწევა: ეპიზოდებისა და ფერადების სწრაფი ცვლით, ლაკონიური წინადადებებით, აღწერისას ნაირგვარ საგანთა და მოქმედებათა კალეიდოსკოპური მონაცვლეობით. ენობრივად ექსპრესიული გამოხატვა ძირითადად ორი საშუალებით ხდება:

ა) ზმნების სიჭარბით, როცა გამოიხატება მოვლენათა სწრაფი მონაცვლეობა:

„ბავშვებს სიმღერით შემოჰყავდათ მთავართა სანათლოს გარეუბანში ღორ-
ხბო. მათ უკან კამეჩების ჯოგები მოიზღაზნებოდნენ თემშარაზე, ნახირები
მოსდებოდნენ გზებსა და შუკებს, ყოყინებდნენ თავაწეული კამეჩები, ჭიხვინებდნენ
უბელო ჭაკები, ფალნიანი აქლემები მოაკანტურებდნენ თავს, ქერა კვიცები
მოკუნტუშობდნენ ტალახიან გზებზე...“ (II 574).

აი, როგორ არის გადმოცემული ამბოხების ეპიზოდი:

„შემდგომ ამისა შესევია თურმე კოლონკელიძე თავის ლაშქრით არაგვის ხეობას, ეკლესიები გადაუზუგავს, ხატები შეუმუსრავს, ხუცები და ბერები სამრეკლოებზე დაუკიდნია თოკით, ბორცვებზე ბომონები აღუმართავთ კვლავ, არაგველებიც შეერთებიან ფხოველთა და მათთა მიმყოლთა. ღამეები უთევიათ კერპებისათვის, ძენი და ასულნი შეუწირავთ უძველეს წესისამებრ. სამი დღე და ღამე როკავდნენ თურმე

#102#

ბომონების წინაშე და გამარჯვებას ზეიმობდნენ ლუდით გაღებული ბრბოები“ (II, 469-470).

ზემო ორ შემთხვევაში მოვლენები გარკვეული თანამიმდევრობით მოსდევენ ურთიერთს. არსებითად ესაა ერთი პროცესის გამოხატვა თავისი მრავალსახეობით.

სულ სხვა ვითარებაა ქვემოთ მოტანილ მონაკვეთში, სადაც წყვეტილი, ერთმანეთთან მიზეზობრივად დაუკავშირებელი მოვლენები ენაცვლებიან ერთმანეთს:

„არსაკიძე აიმღვრა, მაგრამ დადუმდა.

აივნიდან ჩქამი შემოესმათ.

მასპინძელი გარეთ გავიდა.

ძალი დარჩენილიყო ტალანში. ძირს ჩაუშვა, კარი გადარაზა ისევ.

ვარდისახარი ზეზე დაუხვდა...

...მიეახლა ვაჟი.

ტახტზე დასვა კვლავ, გვერდით მიუჯდა, თმა გადაუწია და ყურის ბიბილოზე აკოცა“ (II, 630).

ბ) სახელების სიჭარბით, როცა ერთდროულად რამდენიმე საგანი ან მისი ნიშან-თვისება ხვდება თვალთახედვის არეში:

„გაიხარა ოსტატის გულმა. ორი წლის წინათ მიწას არ აჩნდა ბალავარი ამ ადგილიდან. ახლა ხარაჩოების მთელი ტყე იდგა ოთხივე კიდეს. სვეტები, კოჭები, კაკუტები, ლატნები, ხარიხები და ძელები... სამკუთხედი, ოთხკუთხედი, ჯვარედინი და მანდიკური ხაზები, ეს ყოველივე ისეთ შთაბეჭდილებას ჰბადებდა შორიდან, გოლიათური ქარის წისქვილები აუგიათო, ქორედ-ქორედი ხუხულები, დევის ყმაწვილთა სათამაშოდ გაკეთებული“ (II, 574-575).

არსაკიძე და შორენა ცხენებს მიაჭენებენ. ჭენების სისწრაფე პეიზაჟის სწრაფი ცვლით გამოიხატება:

„მოთავდა ფურცლოვანი.

ჯაგები.

ბარდები.

ველი. ისევ აღმართები, ქარაფები და უფსკრულები, ისევ ველი...

ხარირემი ბლაოდა სადღაც.

სვავები სერავდნენ ცას.

წიწვიანი ტყე დაიწყო...“ (II, 749).

17

კ. გამსახურდიას სტილის თავისებურება, კერძოდ, სინამდვილის ასახვა პოეზიისათვის ნიშანდობლივი პრინციპებით, იმთავითვე განაპირობებს მხატვრული ხერხების სიუხვეს, ძირითადად მაინც ორიგინალური მეტაფორებისა და შედარებების ხშირ გამოყენებას.

პოეტურობის თვალსაზრისით უზადო მეტაფორებია: „ტოროლებს

ცაში აჰქონდათ განახლებული მიწის სიხარული“ (II, 486). „არსაკიძის სახელს დასწვდნენ და ესროლეს იგი ფარსმანს, როგორც ხელკეტი მწიფე ნაყოფს“ (II, 575). „გაზაფხული გაუბედავად მოსდგომოდა არაგვის ხეობას, გუგული უხმობდა თითქოს მთების უბეებში დაყოვნებულს“ (II, 576). „ბედნიერი ბაღლობა იჭვრიტებოდა ყოველი ხის ფულუროდან, ყოველი ბუჩქის ძირიდან“ (600-601). „ქარაფის კიდეზე მიემწყვდიათ შუბოსნებს ავაზა... უდაბნოს ცეცხლი ელავდა მის თვალეში“ (II, 701). „აზმორებდა მიწას სიმხურვალე გაზაფხულისა“ (II, 577). „დამეს ნაბდის კარავი დაედგა ხილნარში, რატისეულ სასახლეში აგზავნიდა თავის დესპანებს“ (II, 790)...

კიდეც უფრო მეტი მრავალფეროვნებითაა წარმოდგენილი შედარებები.

შედარება ხდება როგორც მსგავსების, ასევე დაპირისპირების საფუძველზე.

მსგავსებითი შედარების ნიმუშებია: „ეკლესიის ყვავეზივით დამსხდარიყვნენ დანარჩენი ბერები სარეცლის ირგვლივ“ (II, 590). „გაციებული კამეჩივით ქმინავდა შავწვერა გოლიათი მამაი სტეფანოზ, ასრუტუნებდა ბუკივით მსხვილსა და მეჭეჭიან ცხვირს...“ (II, 590). „ქიმერებივით მობოზლავდნენ აქლემები ნისლში“ (II, 642). „მოწყურებულ ქორებივით ტორტმანებდნენ სისხლში განათლული ფხოველები ირგვლივ“ (II, 683). აქ იყო „პირველ ცოდვასავით მღელვარების მომგვრელი თუთაი...“ (II, 691). „მის გულში წყალგადასხმულ ნაღვერდალივით შიშხინებდა მელქისედეკის მიერ წარმოთქმული ლოცვის ერთ-ერთი ლექსი...“ (II, 499).

დაპირისპირებითი შედარების ნიმუშია: „ბუნებრივადაც მოეჩვენა თალხი სამოსიც, რადგან ეს გლოვა უფრო ამშვენებდა მას, ვიდრე ალმასების მანიაკები და ოქსინოს ქათიბები ფერად-ფერადი“ (II, 713).

კ. გამსახურდია ხშირად მიმართავს აღწერით შედარებებს, როცა შედარების არსს რაიმე მოვლენის სრული აღწერა გამოხატავს:

„ხტოდა, კისკისებდა ვარდისახარი და ეს კისკისი მოაგონებდა არსაკიძეს გახელებულ ჭიხვინს იმ ფაშატისას, რომელიც განზრახ გაურბის ხოლმე მოძალეებულ ულაცს, რათა მომეტებულად ააღელვოს მამრი და გაგრილებისას უფრო ხარბად დააცხრეს ვნებას“ (II. 636).

ან: „ბრაზი წაეკიდა მეფეს, თევზისფერ ძროხას რა წაატანა თვალი, წამოწოდა ხარჭაყოფილი გიორგის, როგორც სიყმაწვილისას ცოდვა სიჭარმაგეში გადასულს“ (II, 699).

ანდა: „ისე ნაზად აფახულებდა შავსა და გრძელ წამწამებს, ასე იტყოდი, თალხი პეპლები არხევენო მის თვალის უპეებზე ფარფლებს“ (II, 691).

შეიძლება კიდევ გამოვყოთ შედარების ისეთი ნაირსახეობა, რომელშიც გამოტოვებული ანუ ელიფსირებულია თვით შედარების გამომხატველი სიტყვა:

#104#

„ზანდაროზაღებული მიმინო მარცხენაზე მიზის. თივთიკის ჩაბალახით თავის მაქვს მეგრულად წაკრული. და უძიროები?.. ისეთი მსუბუქია, — შვედური თათმანები მცმოდეს“ (II, 86).

ანდა: „როცა იგი მშენებლობის სათვალყუროდ ჩამოივლიდა, ორ ათასამდე მუშა ისე გაიტვრინებოდა. ალაღმა ჩაუქროლაო ნიბლიების გროვას“ (II, 654).

გვხვდება კონსტრუქციები, სადაც ორ ერთმანეთისგან დამოუკიდებელ წინადადებას შორის აზრობრივი კავშირი ივარაუდება და ეს კავშირი შედარების პრინციპს ეფუძნება:

„ხმა ჰქონდა წკრიალა (ვერცხლის ეჟენები, ხევისბერების დროშას შებმულნი!) (II, 646). იხ. იმავე ნიშანს დამყარებული აღწერითი შედარება: „ყელისმიერი ხმა ჰქონდა, ისეთი წკრიალა, როგორც ვერცხლის ეჟენები, ხევისბერების დროშის ბუნზე შებმულნი“ (II, 637).

შედარება რაიმე ნიშნის მიხედვით აერთიანებს ორ ან მეტ საგანს. ამით კავშირი მყარდება ნაირგვარ საგნებსა და მოვლენებს შორის. ეს კავშირი პოეტური ლოგიკის კანონებს ემორჩილება და ნაირსახოვან ასოციაციურ წრეს ქმნის.

კ. გამსახურდია უხვად მიმართავს დამაზუსტებელ დეტალებს. ერთი ნიმუში ამისა: „ქართული, ბერძნული, არაბული წარწერანი მოსჩანდნენ ლოდებზე, ფრინველთა სკორეს წაებულწათ უპატრონო სამარხები“ (II, 576). ძირითადი ინფორმაცია კონსტრუქციის პირველ მონაკვეთშია მოცემული, შემდგომ კი დამატებითი დეტალით ხდება ამ ინფორმაციის მხატვრული გაცოცხლება.

18

კ. გამსახურდიას პროზის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია პორტრეტი და პეიზაჟი. მწერალი არ სჯერდება სტატისტიკურ აღწერას. ორივე ეს მონაცემი თავის დინამიკაშია წარმოდგენილი და პერსონაჟთა ხასიათის გახსნისთვისაა მოხმობილი.

შორენა: „როცა გიორგი მეფე მანდილოსნებს მიეახლა, შორენამ თავი აიღო, განსაცვიფრებელმა სილამაზემ შეანათა სახეში, ელდა ეცა გიორგის. მას არასდროს ენახა ძაძას, მწუხარებას და უბრალო სამოსს ასე გაემშვენიერებინოს ქალი“ (II, 509). შორენას სილამაზე, თუ შეიძლება ასე ითქვას, მის მოქმედებაშია მოცემული: არა მხოლოდ ის, რომ განსაცვიფრებლად ლამაზი იყო, არამედ ის, რომ ეს სილამაზე მომნუსხველად მოქმედებდა სხვებზე. შემდეგ ხდება მისი პორტრეტის დეტალიზაცია და ესეც დინამიკაშია გამოხატული: „თავთუხისფერი თმები ჰქონდა შორენას, თვალებში უელავდა ლაზისტანის ზღვისა სილურჯე“ (II, 46).

„მელქისედეკი: „რაღაც უჯიათი შეუმუსვრელობა გამოსჭვიოდა ხორცდაშრეტილი ბერის ჩონჩხადქცეული ანაგობიდან. ტირანული

#105#

სისასტიკე გართხმულიყო მარღვებდაბერილ შუბლსა და ენერგიულ დაწვისთავეს შორის...“ (II, 571).

პეიზაჟი უმეტესწილად პერსონაჟის სულიერ განწყობილებათა გამოხატვას ემსახურება. ამ თვალსაზრისით დამახასიათებელია შემდეგი მონაკვეთი: „ხილნარში შევიდა გიორგი, ახედა ზედაზენის მთებიდან გადმომდგარ მთვარეს. დათოვლილივით მოსჩანდნენ ატმისა და ვაშლის ხეები, მსუბუქი ბორიო ოდნავ აქანავებდა ხეთა კენწეროებს. ტოკავდა შტოთა ნაჩრდილვეი, სითვით ნაქარგივით ამოჩითული მიწაზე. ასე ეგონა ბილიკზე მიმავალს: ქარცემულივით ტორტმანობსო მთელი ქვეყანა. მიწის სუნი, ნაზამთრალი ფესვების სუნი, ატმის ყვავილის ნელსურნელება იკმეოდა ირგვლივ... ცა ისეთი მაღალი იყო, ვარსკვლავებიც ისე ნაზად აფახულებდნენ იისფერ წამწამებს, არასოდეს ასეთი ბედნიერება არა უგრძვნია გიორგის“ (II, 615).

ზოგჯერ პეიზაჟში ჩართულია ასოციაციური ხილვები, მაგალითად, შავი ფერის ასოციაციაზეა აგებული ეს ეპიზოდი:

„შოშიები მობრუნებულიყვნენ მცხეთაში.

არსაკიძე აივნიდან უთვალთვალებდა. აურაცხელი, მშვენიერი ფრინველი შერეოდა ჭადარს.

ეშვებოდა ბინდი“.

ასოციაციური ხილვის პირველი საფეხური: შოშია — ბინდი.

„არსაკიძე ჯერ კიდევ ხედავდა ხოჭოს ჯავშანივით ლაპლაპა ნაკრტენზე ალაგ-ალაგ სხურვებულ სიშავეს...

უცნაური სიმარტოვე შეიცნო.

სიყრმე მოაგონდა თავისი...

სწორედ მის სარკმელთან მოდიოდნენ ისინი გაზაფხულზე კვეტარში.

ნეკერჩხლის ხეზე ათევდნენ ღამეს.

შოშიებს მოჰქონდათ გაზაფხულის სიხარული მთაში“.

ასოციაციური ხილვის მეორე საფეხური: ბინდი, სიშავე — მარტოობა.

მესამე საფეხური: მარტოობა — სიყრმის მოგონება.

თავის მხრივ კი სიყრმის მოგონება ისევ და ისევ საწყის იმპულსს — შოშიებს — მიემართება.

„დედა მოაგონა ამ ამბავმა არსაკიძეს.

დაფათურობს ალბათ შაოსანი, მთიულური ქვიტკირის ეზოში“.

მეოთხე საფეხური: შოშიები, დაკავშირებული სიყრმის მოგონებასთან — შაოსანი დედა.

„ყორნები შემომსხდარან მახლობელ ნაძვებზე. უხიაგი ყრანტალით უხმოვენ ღამეს. შოშიები ჟივიან ნეკერჩხლების მწვანეში“.

მეხუთე საფეხური: შაოსანი დედა, ქვრივი — ყორნები, სიკვდილის მაცნენი. ბოლოს ისევ მეორდება შოშიების ლაიტმოტივი.

„თვალნათლივ ხედავს კონსტანტინე შავ ცხენებს...

გონების თვალი მიაყოლა შავადმოსილ მოხუცის ლანდს.

დაფაცურობს დედა, დასდევს დახუთული ცხვრებს...“ (II, 623).

#106#

მეექვსე საფეხური: ყორნები — შავი ცხვრები, რომელსაც უკავშირდება მეორე ლაიტმოტივი: შაოსანი დედა.

ეს ლაიტმოტივი მეორდება არსაკიძის აღსასრულის ჟამსაც,

„ფხოვური ქვიტკირის პატარა ეზოში დაფათურობს შავით მოსილი დიაცი, ფხოვური მანდილი ახურავს შავი.

ცალ ხელში შავტარიანი დანა უჭირავს სისხლიანი, შავი ცხვრისთვის უბგერებია ყელში და მოთქრიალებს წყალი კი არა, სისხლი...“ (II, 791).

შაოსანი დედა — შავი ცხვრები — შავი ყორნები ერთ საბედისწერო სიმბოლოდ შეიკრა და სიკვდილის მაცნედ მოევლინა განწირულ არსაკიმეს...

ყველაფერი კი შოშიების მხიარული ჟრიამულით დაიწყო...

„შოშიები დაცხრნენ.

მდუმარებამ დაივანა ბაღში“ (II, 624).

19

კონსტანტინე გამსახურდიას არა ერთი და ორი სურათი გაუცოცხლებია თავისეული ფერადოვნებით ჩვენი წარსულისა და თანამედროვეობისა. რაზეც უნდა ეწერა, თუნდაც საყოველთაოდ ცნობილ ტრივიალურ მოვლენებზე, უნარი შესწევდა ორიგინალური პოეტური ფორმით მოეწოდებინა ის.

რაინდული შემართება და რომანტიული სულისკვეთება არის ნიშანდობლივი კ. გამსახურდიას შემოქმედებისათვის.

ტკბილ და იმავდროულად სასტიკ ზმანებაში ხდებოდა თითქოს ყველაფერი.

კ. გამსახურდიას დამსახურება ისიცაა, რომ მან შეძლო ქართული ენის წიაღში დაცული შესაძლებლობების წარმოჩენა.

მართალია, ყველაფერი უდავო არაა, მაგრამ გასაზიარებელი და დასამკვიდრებელიც საკმაოზე მეტია.

იგი მთელი თავისი შემოქმედებით ემსახურებოდა ქართული სიტყვის ჯადოსნური მომხიბლაობის გამომხეურებას. მან შექმნა თავისეული პოეტური სინამდვილე, სხვათაგან გამორჩეული, და შეძლო თავისეული მსოფლგაგებით დაენახებინა სხვებისათვის გარე სამყარო.